

ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტში კავკასიურ ენათა კათედრის ასოცირებული პროფესორის სამსახურში
მისაღებად რექტორის 2023 წლის 12 იანვრის №4/01-01 ბრძანების საფუძველზე
გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური
საბჭოს 2023 წლის 23 იანვრის №1/2023 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული
კომისიის სხდომის

№4 ოქმი (კორექტირებული შემაჯამებელი)

ქ. თბილისი

“21“ მარტი 2023 წ.

11.30 საათი, თსუ, აკად. არნ. ჩიქობავას კაბინეტ-მუზეუმი

სხდომას ესწრებოდა კომისიის ხუთივე წევრი:

1. მერაბ ჩუხუა – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკ-ის პროფ. (კომისიის თავმჯდომარე);
2. ნანა მაჭავარიანი – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკ-ის ასოც. პროფ. (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. რუსუდან ზექალაშვილი – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკ-ის ასოც. პროფ. (კომისიის მდივანი);
4. რამაზ ქურდაძე – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკ-ის პროფესორი;
5. მერაბ ნაჭყებია – ფილოლოგიის მეცნ. დოქტ., სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში კავკასიურ ენათა კათედრის ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება, კორექტირება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი კორექტირებული ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, პროფ. მერაბ ჩუხუას ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კავკასიურ ენათა კათედრის ასოცირებული პროფესორის 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა – ფილოლ. მეცნ. დოქტორმა ნოდარ არდოტელმა.

ფილოლ. მეცნ. დოქტორ ნოდარ არდოტელის შეფასების პირველ ეტაპზე. I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №2). გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №3). გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი ფილოლ. მეცნ. დოქტორ ნოდარ არდოტელის კანდიდატურას.

კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია, უწინარეს ყოვლისა, კავკასიოლოგიის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო, მიმართულების ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით; კომისიის პოზიცია, რომელიც დაეყრდნო კონკურსანტის მონაცემებს, მის მიღწევებსა და პლუსებს, ნოდარ არდოტელის პიროვნულ თუ პროფესიულ თვისებებსა და უნარ-ჩვევებს, მოტივირებულია ფაქტობრივი მდგომარეობით, რაც ეფუძნება შემდეგ არგუმენტაციას:

1. კავკასიურ ენათა სინტაქსის შესწავლის შედარებით მწირი მოცემულობა, ანუ ხარვეზი, აღმოიფხვრება ნოდარ არდოტელის სასწავლო-სამეცნიერო პროცესში ჩართულობით, ვინაიდან კონკურსანტმა გამოაქვეყნა არაერთი სტატია ატრიბუტული (resp. პრედიკატული) სინტაგმების შესახებ დაღესტნურ ენებში; ამასთან, მისსავე მონოგრაფიებში გაცილებით მეტი ადგილი ეთმობა დასახელებულ ენათა სინტაქსის კარდინალურ საკითხებს. კონკურსანტთან გასაუბრებისას გამოიკვეთა ასევე, რომ იგი მომავალშიც გეგმავს ამ პრობლემებზე ინტენსიურ მუშაობას.
2. როცა მეტად საშურია გაქრობის პირას მყოფი კავკასიური ენების დოკუმენტაციის უზრუნველყოფა, - სხვადასხვა ჟანრის ტექსტების ფიქსაცია და ლექსიკონების შედგენა, 2018 წელს გამოქვეყნდა ნ. არდოტელის ბეჟიტურ-ქართული ლექსიკონი,

ამჟამად კი გამოსაცემად მზადდება ვრცელი დიდოურ-ქართული ლექსიკონი, რომელიც მოპოვებულია საქართველოს საველე პირობებში. ავტორი აგრძელებს ასევე რეგიონის სხვადასხვა ჟანრის ტექსტობრივი მასალის მოპოვებას, დამუშავებასა და გამოქვეყნებას.

3. მონათესავე ენათა ფონოლოგიური სისტემების, გრამატიკული ინვენტარისა და ძირეული ლექსიკური ფონდის ისტორიულ-შედარებითი ასპექტით შესწავლა თანამედროვე კომპარატივისტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანათაგანია. მნიშვნელოვანია ამ კუთხით განხორციელებული კვლევის შედეგების გადამოწმება, რასაც წარმატებით ახერხებს ნ. არდოტელი, ითვალისწინებს რა ვერიფიკაციის ოთხ შესაძლო ტიპს: 1. ფორმოზრივი; 2. სისტემური; 3. ტიპოლოგიური; 4. სემანტიკურ-ეტიმოლოგიური.
4. და ბოლოს, ნ. არდოტელი ავტორია იბერიულ-კავკასიურ ენათა არაერთი გრამატიკისა, რომლებიც შეადგენენ საყრდენ კურსებს კავკასიოლოგიის განახლებული BA და MA სასწავლო პროგრამისათვის.

დაადგინეს: ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ფილოლ. მეცნ. დოქტორი ნოდარ არდოტელი.

კომისიის თავმჯდომარე:

/მერაბ ჩუხუა/

მოადგილე:

/ნანა მაჭავარიანი/

წევრები:

/რამაზ ქურდაძე/

/მერაბ ნაჭყებია/

კომისიის მდივანი:

/რუსუდან ზეჟალაშვილი/

თარიღი: 21.03.2023